



მზექალა შანიძე

(16. I. 1926) – ფილოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი (2006), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრკორესპონდენტი (2002), აკადემიკოსი (2013), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2017), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2021). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1948). ასპირანტურაში სწავლის დროს (1948 – 1951) მივლინებული იყო ლენინგრადში (ამჟ. სანქტ-პეტერბურგი), სადაც სწავლობდა აკადემიკოს ეგნატე კრაჩკოვსკის ხელმძღვანელობით. 1951 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ფარინგალური ბგერები ძველ ებრაულ ენაში“, 1974 წელს – სადოქტორო დისერტაცია „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები“. 1953 – 2006 წლებში სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიისა და ძველი ქართული ენის კათედრებზე; კითხულობდა ძველი ებრაული ენის, სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის,

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის კურსებს; 1996 – 1998 წლებში სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა ქართული ენის, ძველი ქართული ენის კურსები.

სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი (1953 – 1961), აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1961 – 1968), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ამავე ინსტიტუტის (ამჟ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) კონსულტანტი (2002 წლიდან დღემდე), საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991). მონაწილეა სამეცნიერო ექსპედიციებისა, მათ შორის, სინის წმ. ეკატერინეს მონასტერში (1996, 2002, 2009) ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად; სამეცნიერო კონფერენციებისა: 1996 – საერთაშორისო ლინგვისტური სემინარი, ბერგენი; 1999 – ლინგვისტიკის ისტორიის საერთაშორისო კონგრესი, პარიზი. ავტორია 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა; ცალკეული შრომები დაბეჭდილია გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, რუსეთსა და საბერძნეთში. მისი სამეცნიერო-კვლევითი ინტერესის სფეროებია: სემიოლოგია, კოდიკოლოგია, ტექსტოლოგია, ბიბლიესტიკა, მორფოლოგია, ლექსიკოლოგია.

არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმძღვანელი (1991), გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1995), თბილისის საპატიო მოქალაქე (2015). მიღებული აქვს აკაკი შანიძის სახელობის საუნივერსიტეტო პრემია (1990), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია (2011), შოთა რუსთაველის სახელობის პრემია (2012),

ღირსების ორდენი (1996, 2015), ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი (1986, 2016), ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ბრწყინვალეების ორდენი (2019), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი (2019), თამარ მეფის ორდენი (2021).

Mzekala Shanidze

(01. 16. 1926) - Philologist, Emeritus Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University (2006), Corresponding Member at the Georgian National Academy of Sciences of Georgia (2002), Academician (2013), Honorary Doctor of Ilia State University (2017), Honorary Doctor of Ilia State University (2017), Honorary Doctor of Batumi Shota Rustaveli State University (2021). Graduated from Tbilisi State University, Faculty of Oriental Studies (1948). During her postgraduate studies (1948 - 1951) she was sent to Leningrad (now St. Petersburg), where she studied under Academician Egnate Krachkovsky. In 1951 she defended her PhD dissertation "The Issue of Pharyngeal Sounds in the Ancient Hebrew Language ", and in 1974 - her doctoral dissertation "Old Georgian Translations of the Book of Psalms". From 1953 to 2006 M. Shanidze was engaged in scientific-pedagogical work at the Departments of Semitology and Old Georgian Language of Tbilisi State University; she gave courses in Ancient Hebrew, Comparative Grammar of Semitic Languages, History of Georgian Literary Language; In 1996-1998 she taught Georgian language and Old Georgian language courses at St. Petersburg State University.

At various times M. Shanidze was a researcher at the Department of Manuscripts of the Georgian State Museum (1953 - 1961), senior researcher at the Institute of Oriental Studies (1961 - 1968), head of the Department of Old Georgian Philology at Korneli Kekelidze Institute of Manuscripts, consultant of the same institute (now the National Center of Manuscripts) (from 2002 to present), member of the first convocation of the Supreme Council of the Republic of Georgia (1990-1991). Has participated in scientific expeditions, including visiting Saint Catherine's Monastery on Mount Sinai (1996, 2002, 2009) to study Georgian manuscripts;

Scientific Conferences: 1996 - International Linguistic Seminar, Bergen; 1999 - The International Congress of Linguists, Paris. M. Shanidze is the author of more than 120 scientific papers; Her works have been published in Germany, France, Belgium, Russia and Greece. Her research interests are: Semitology, Codicology, Textology, Bibliography, Morphology, and Lexicology.

She is a signatory of the Act on Restoration of State Independence of Georgia (1991), a member of the Gelati Academy of Sciences (1995), an honorary citizen of Tbilisi (2015). She has received Akaki Shanidze Prize (1990), Ivane Javakhishvili Award of the Georgian National Academy of Sciences (2011), Shota Rustaveli Award (2012), Order of Honor (1996, 2015), Ivane Javakhishvili Medal (1986, 2016), Kakutsa Cholokashvili Order of Excellence (2019), Medal of Ivane Javakhishvili Tbilisi State University (2019), Order of Queen Tamar (2021).